დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების შესახებ

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

PRIEST BESARION (BESIK) TSINTSADZE

ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ვახტანგ გურული

SUPERVISOR Doctor of History
Vakhtang Guruli

კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების შესახებ

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

წმ. კალისტრატე ცინცაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მემუარებს. მის არქივში ინახება რამდენიმე მოგონება როგორც ცალკეული პირების, ისე, ზოგადად, მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელთა მონაწილე იგი თავადაც იყო.[1] აღნიშნული მოგონებები დაწერილია კათოლიკოს–პატრიარქად მისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. აღსანიშნავია, რომ წმ. კალისტრატე თავის მოგონებებში ისე სკრუპულოზურად და დაწვრილებით გადმოგვცემს სათქმელს, რომ, უეჭველია, კათოლიკოსი მათ წინასწარ ინიშნავდა და წერის დროს ამ ჩანიშნულ მასალას იყენებდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სანდოობის თვალსაზრისით.

ისტორიული ფაქტების დადგენისას მოგონებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მემუარები ავტორისეულ ხედვას წარმოადგენს, რომელშიც ბევრი სუბიექტური შეფასება იჩენს თავს. აქედან გამომდინარე, მკვლევრები მემუარებში გადმოცემული მოვლენების გაანალიზებას სიფრთხილით ეკიდებიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მემუარული ლიტერატურა ისეთ ფაქტოლოგიურ ნიუანსებს შეიცავს, რომლებიც სხვა წერილობით წყაროებსა და დოკუმენტურ მასალებში არ არის. ამიტომ კვლევის დროს მემუარულ მასალას მკვლევრები ფართოდ იყენებენ. მისი შექმნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, წმ. კალისტრატე ცინცაძის მემუარულ მემკვიდრეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაშუქებისათვის.

ამჯერად წმ. კალისტრატე ცინცაძის მემკვიდრეობიდან განვიხილავთ მის შეხედულებას XIX საუკუნის 80–90–იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შესახებ, რომელიც, ძირითადად, მის მოგონებებს ეყრდნობა. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეგზარქოსების დახასიათებისას, საკუთარი დაკვირვების გარდა, იგი იყენებს სამეცნიერო ლიტერატურას, წერილობით წყაროებს, გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ მასალებს და სხვ. წმ. კალისტრატე ცინცაძე, ძირითადად, იმ ეგზარქოსებს ახასიათებს, რომლებთანაც მას შეხება ჰქონია. სწორედ ამის მიხედვით მოვხაზეთ ჩვენი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც.

1 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 26, საქმე 102, საქმე 107, საქმე 109; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე 2001; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 224-432; კალისტრატე ცინცაძე, I, 2010: 305-481; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 243-481.

წმ. კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოსების დახასიათებას იწყებს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის მოღვაწეობის შეფასებით, რომელიც საქართველოს ეგზარქოსი იყო 1877–1882 წლებში. მართალია, მისი ეგზარქოსობის დროს წმ. კალისტრატეს მასთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ როდესაც იგი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იოანიკე რუდნევი დანიშნეს კიევის მიტროპოლიტად. მისი დანიშვნით გახარებული ყოფილან კიევის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტები, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი რუსი ინსპექტორის განცხადებით, მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევს არ უყვარდა ქართველები. სხვების მონათხრობით, საქართველოს ეგზარქოსობიდან გათავისუფლებული იოანიკე რუდნევი (1877–1882), როდესაც რუსეთში ბრუნდებოდა, ჯვრის უღელტეხილთან საქართველოსაკენ მობრუნებულა და განუცხადებია: **„გმადლობ შენ, ყოვლადწმინდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდიო“**.[1] ქართველმა სტუდენტებმა არ ირწმუნეს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის შესახებ სასულიერო აკადემიის ინსპექტორის მონათხრობი, თუმცა სიმართლე მალე გაირკვა. წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, იოანიკემ ცუდი განწყობა ქართველების მიმართ გამოამჟღავნა კიევის სასულიერო აკადემიაში 1892 წელს მიმდინარე გამოსაშვები გამოცდების დროს, რომელსაც, როგორც გამოსაცდელი სტუდენტი, თავადაც ესწრებოდა. როცა წმ. კალისტრატეს გამოცდის დრო დადგა, მან დემონსტრაციულად დატოვა აუდიტორია აშკარად მისი ქართველობის გამო. ეს კარგად შეამჩნიეს გამომცდელმა პროფესორებმა და იქ დამსწრე სტუდენტებმა, მაგრამ მიზეზი თვით წმ. კალისტრატემაც იმხანად ვერ ახსნა. 1913 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ მთავარეპისკოპოს ნიკანორის წიგნში წმ. კალისტრატემ მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის ქართველებისადმი დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ცნობა მოიძია. მთავარეპისკოპოსი ნიკანორი გადმოგვცემს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევთან საუბარს 1886 წელს პ. ჩუდეცკის მკვლელობისა და ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882–1887) შესახებ. იოანიკეს მასთან საუბარში პირდაპირ განუცხადებია — პავლე საქართველოდან უნდა წავიდეს, რადგან ქართველები მას მოკლავენ; ქართველებმა ჩაიბეჭდეს გონებაში, რომ ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო. ისინი ყველაფერს იკადრებენ, რადგან **„მათ ხომ განსჯის უნარი არა აქვთ, გონებაჩლუნგები არიან“**.[2] აღნიშნული ცნობით აშკარად გამოიკვეთა მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის დამოკიდებულება ქართველებისადმი.

მეტად საინტერესოა წმ. კალისტრატე ცინცაძის მიერ მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის შემცვლელის — მთავარეპისკოპოს პავლე ლებედევის — დახასიათება. თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი სწავლის დროს პავლე ეგზარქოსის მოვალეობას

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 16; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 225.

2 Записки, II, 1913: 26-27; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე 2001: 20; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 225.

ასრულებდა, ხოლო სასწავლებლის რექტორი იყო ეგზარქოსთან დაახლოებული დეკანოზი — პავლე ჩუდეცკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წმ. კალისტრატე ცინცაძის შეხედულება დასახელებული ეგზარქოსის შესახებ საინტერესოა, რადგან იგი ყველა იმ პროცესის მომსწრე და თვითმხილველი იყო, რაც იმ დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში დატრიალდა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს პავლე ლებედევს წარმოგვიდგენს ნიჭიერ, განათლებულ, მჭევრმეტყველ, მაგრამ ფიცხ პიროვნებად. იგი დაწვრილებით აღწერს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტის — იოსებ ლაღიაშვილის მიერ 1886 წლის 24 მაისს დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელობის ფაქტს; აგრეთვე, მოკლედ მიმოიხილავს იმ დროს სასულიერო სემინარიაში არსებულ მძიმე მდგომარეობას. წმ. კალისტრატე რექტორის მკვლელობის შესახებ აღნიშნავს: ამ დროს ეგზარქოსად მიტროპოლიტი იოანიკე რუდნევი რომ ყოფილიყო, რექტორის მკვლელობას ქართველების გონებაჩლუნგობით და სიშმაგით ახსნიდაო.

თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარი ფაქტის აღწერისას წმ. კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ–პროკურორის — ვ. საბლერის მიმოწერას ხელისუფლების მოხელეებთან. როგორც ობერ–პროკურორი ვ. საბლერი აღნიშნავდა, ეგზარქოსმა პავლემ, „გონებანათელმა“ კაცმა, წონასწორობა დაკარგა და თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, დეკანოზ პავლე ჩუდეცკის წესის აგებაზე წარმოთქმულ სიტყვაში უდიერად მოიხსენია ქართველი საზოგადოება. წმ. კალისტრატე წერს, რომ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ მან ქართველი ხალხი შეაჩვენა: **„წყეულიმც იყოს ის ერი, რომელმაც შენი მკვლელი შვაო“**. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში საქართველოს ეგზარქოსის სიტყვით გამოსვლას არ დასწრებია, ამიტომ ვერც უარყოფს და ვერც ადასტურებს მის ნათქვამს, რადგან ეგზარქოსის გამოქვეყნებულ სიტყვაში დასახელებული ტექსტი არ იყო.[1] თუმცა იგი გაზეთ „Кавказ“–იდან იმოწმებს საქართველოს ეგზარქოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწილს: **„ბოროტმოქმედთა მსხვერპლი კი არ იმსახურებს უდიდეს გლოვას, არამედ გარემო — მშობელი ბოროტმოქმედთა; დიახ, ტირიან დედები და მამები ჩვენი მხარისა, რომ ჩვენში არსებობენ ბავშვები — მხეცური მიდრეკილებების მქონენი, რომლებიც ვერ მოალმობიერა ოჯახის კეთილმა გავლენამ, ვერ დააშოშმინა სკოლის კეთილმა ზემოქმედებამ და გარეგან ცრუ და მავნე გავლენას განიცდიან... თქვენ პირველებს მოგეზღვებათ უბედურება, რომელსაც თავად უმზადებთ და შეამთხვევთ სხვებს“**. ამ ამონარიდის მოხმობის შემდეგ წმ. კალისტრატე ცინცაძე დაასკვნის, რომ საზოგადოებაში გავრცელებული სიტყვები რომც არ ეთქვა საქართველოს ეგზარქოსს, გაზეთში გამოქვეყნებული მისი სიტყვაც საკმარისი იყო ქართველი ხალხის აღშფოთებისათვის. იგი, აგრეთვე, იმოწმებს

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 24; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 234.

ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს ეგზარქოსის მიერ სიტყვის წარმოთქმისას ეკლესიაში მყოფ ქრისტეფორე მამაცაშვილს პროტესტის ნიშნად ტაძარი დაუტოვებია.[1] ტაძარში დარჩენილ ქართველებს დამცირებულად უგრძვნიათ თავი, რადგან მორწმუნე ადამიანებისათვის მისი სიტყვა იყო ღვთის რისხვა და შეურაცხყოფა.[2]

მომხდარი ფაქტის შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძე გვაწვდის საინტერესო დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც დაფიქსირებულია ეგზარქოს პავლეს მიერ პეტერბურგის სასულიერო უწყებაში, კერძოდ, რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის დირექტორ ს. საბლერისადმი გაგზავნილ მოხსენებაში. საქართველოს ეგზარქოსი დეკანოზ პავლე ჩუდეცკის წარმოაჩენს ლიბერალურ პიროვნებად, რომელიც თითქოს თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის იბრძოდა, ხოლო ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა მკვლელის დაცვას. იგი ითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და თბილისის სასულიერო სემინარიის დახურვას. ეგზარქოს პავლე ლებედევის ასეთი პათოსის მიუხედავად, პეტერბურგის სასულიერო უწყება და სამეფო კარი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ და, გარკვეულწილად, ადანაშაულებდნენ ეგზარქოს პავლეს, რომელსაც მეტი სიდინჯე და წინდახედულება უნდა გამოეჩინაო. წმ. კალისტრატე ცინცაძე ამ საკითხთან დაკავშირებით იმოწმებს ყველა იმ მასალასა და მიმოწერას, რომლებსაც აფიქსირებდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ზოგიერთი ეპისკოპოსი, საიდანაც ირკვევა, რომ ეგზარქოს პავლეს დატოვება დაკავებულ თანამდებობაზე კიდევ უფრო დაძაბავდა ვითარებას საქართველოში, მითუმეტეს, რომ მის საქციელს დიმიტრი ყიფიანის დასჯა და, ბოლოს, მისი ვერაგული მკვლელობა მოჰყვა, რის გამოც ქართველი საზოგადოება დიდ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას გამოხატავდა.[3]

წმ. კალისტრატე ცინცაძე, მოხმობილი წყაროების საფუძველზე, საინტერესო დასკვნებს აკეთებს და აღნიშნავს, რომ თვით საიმპერატორო კარისათვის მიუღებელი იყო ეგზარქოს პავლეს დატოვება ძველ თანამდებობაზე და იგი, იმპერატორთან შეთანხმებით, საქართველოდან გაიწვიეს. აღსანიშნია, რომ წმ. კალისტრატეს მიერ ეგზარქოს პავლეს დახასიათება დადებითადაა შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.[4]

წმ. კალისტრატე ცინცაძე საინტერესოდ წარმოსახავს ეგზარქოს პავლე ლებედევის შემცვლელის — მთავარეპისკოპოს პალადი რაევის (1887–1892) პორტრეტს. მის დასახასიათებლად მოიხმობს რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის დირექტორის, ს. საბლერის ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ მთავარეპისკოპოს პალადის შეუძლია ყველაფერი მოაწესრიგოს, თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე — დახვეწილი

1 კალისტრატე ცინცაძე 1994: 214.

2 კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი ფონდი, საქმე №170, ფურცელი 75; შდრ.: ბუბულაშვილი 2022: 320.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 28-33; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 240-245.

4 ბუბულაშვილი 2022: 314- 320.

პოლიტიკოსობის, თავაზიანობისა და შემგუებლობის მეშვეობით. რუსი მოხელის ამ დახასიათების საწინააღმდეგოდ, წმ. კალისტრატე აღნიშნავს, რომ მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი შეპარვით ქართველ **„სამღვდელოებას ზიზღნარევი ალერსით ექცევა... საერო საზოგადოებას — თავაზიანი პირფერობით“**. ამას იგი აკეთებდა ქართველი საზოგადოების გულის მოგების მიზნით, რაც, აგრეთვე, გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ხშირად სტუმრობდა ქართველ წარჩინებულთა ოჯახებს.

წმ. კალისტრატე ცინცაძე გვაუწყებს, რომ ეგზარქოს პალადი რაევის (1887–1892) დაჟინებული მოთხოვნით, დიდუბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (ახლა ამ ადგილას ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარია) აკურთხეს ყაზანის ღვთისმშობლის სახელზე. ახალი ეგზარქოსი მოითხოვდა ქართველი წმინდანების წმინდანად შერაცხვის აქტებს, რაც არ არსებობდა. ამიტომ მას განუცხადეს: თუნდაც ის, რომ საუკუნეების განმავლობაში მათი სახელები ეკლესიაში იხსენიება, მათი წმინდანობის დადასტურება არისო. საქართველოს ეგზარქოსი ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა და ბრძანა, რომ ახალშობილებისათვის ნათლობის დროს ქართულის ნაცვლად წმინდანების ბერძნულ–რუსული სახელები დაერქმიათ. წმ. კალისტრატეს თქმით, მისი ეს გადაწყვეტილება ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ იქცა უკანონო შემოსავლის წყაროდ, რადგან ქრთამის გაღებით ადვილად შესაძლებელი იყო ამ საქმის მოგვარება.[1]

წმ. კალისტრატე ცინცაძე საინტერესო მასალებს იმოწმებს მომდევნო ეგზარქოსის — მთავარეპისკოპოს ვლადიმირ ბოგოიავლენსკის (1892–1898) დასახასიათებლად. მისი აზრით, იგი იყო ჭკვიანი, უბრალო, ღირსეული და მჭევრმეტყველი პიროვნება. ეგზარქოს ვლადიმირის ამ თვისებებს დიდად აფასებდა უმაღლესი სასულიერო უწყება, რის გამოც იგი სხვადასხვა დროს რუსეთის უწმინდესი სინოდის მუდმივი ოთხივე კათედრის — საქართველოს, მოსკოვის, კიევისა და პეტერბურგის — ხელმძღვანელი იყო. საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირი ყოველთვის ხელს უწყობდა და აწინაურებდა რუსი ეროვნების სამღვდელოებას. ამას არც მალავდა, რაც მის დიდ ნაკლად მიაჩნდა წმ. კალისტრატეს. მისი მოღვაწეობის დროს, 1893 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები უკმაყოფილონი იყვნენ რექტორის, არქიმანდრიტ სერაფიმესი, რომელიც აბუჩად იგდებდა მოსწავლეებს, ავიწროვებდა და მკაცრ რეჟიმში აცხოვრებდა მათ. გარდა ამისა, იგი შეურაცხყოფდა ქართულ საეკლესიო გალობას, რომელსაც, წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, „ძაღლების ყეფას“ უწოდებდა. წმ. კალისტრატე დაწვრილებით გვიამბობს დასახელებულ წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. იგი აქვეყნებს ამბოხებულ სემინარიელთა მოთხოვნებს, რომელთა აზრით, უნდა გათავისუფლებულიყო რექტორი სერაფიმე; სემინარიიდან გაეძევებინათ რამდენიმე პედაგოგი, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ სტუდენტების შეურაცხყოფასა და დამცირებაში; სათანადო საათები დათმობოდა ქართულ საეკლესიო გალობას,

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 38; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 249.

ხოლო ქართული ენა ესწავლებინათ ქართულ ენაზე და არა რუსული ენის დახმარებით; თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოეღოთ ქართული ლიტერატურის სწავლება და მოსწავლეებს უფლება მისცემოდათ თავისუფლად გასცნობოდნენ რუს და უცხოელ კლასიკოსებს — დოსტოევსკის, გონჩაროვს, შექსპირს, შილერს, გოეთეს და სხვ.[1]

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, საქართველოს ეგზარქოსი შეეცადა სტუდენტთა მღელვარება შეეჩერებინა. ამისათვის იგი ყველა ხერხს მიმართავდა. მისი კატეგორიული მოთხოვნით, თბილისის სასულიერო სემინარია დაიხურა ერთი წლით, 1894 წლის 8 იანვრამდე; ამბოხებული 87 სტუდენტი სასწავლებლიდან გარიცხეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით წმ. კალისტრატე მოიხმობს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების მასალებს. გაირკვა, რომ სტუდენტთა გამოსვლა დაგეგმილი იყო გარედან, ცნობილი რევოლუციონერის, მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით. თუმცა, როგორც წმ. კალისტრატე გვაუწყებს, ამ მოძრაობაში ჟანდარმერიას სურდა გაერია ილია ჭავჭავაძე და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კონსტანტინე მუხრანბატონი, მაგრამ ხელისუფლებამ საწადელს ვერ მიღწია. დადგინდა, რომ, მართალია, მათთან სასულიერო სემინარიის ზოგიერთი სტუდენტი დადიოდა, მაგრამ ისინი არ ურჩევდნენ მოძრაობაში ჩართვას.[2] ეგზარქოსმა ვლადიმირმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მხარე დაიკავა, რის გამოც მისი ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ შეილახა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე თავის მოგონებაში ეგზარქოს ვლადიმირის დასახასიათებლად გამოყოფს ერთ საინტერესო ფაქტს: 1894 წლის პირველ ოქტომბერს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში აღინიშნება საუფლო კვართის დღესასწაული (სვეტიცხოვლობა), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში პარაკლისის ჩატარების დროს, საქართველოს ეგზარქოსის მოთხოვნით, საწიგნედან გაიტანეს სვეტიცხოვლის ხატი (საქართველოს ეკლესიის დიდება) და დატოვეს ღვთისმშობლის ხატი (მიზეზად დასახელდა ის, რომ ამავე დღეს მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში აღინიშნებოდა „ღვთისმშობლის საფარველის“ ხსენება). ამ ფაქტმა ტაძარში მყოფთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, სხვათა შორის, უკმაყოფილო იყო რუსი ეროვნების მრევლიც.[3]

აღსანიშნია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: როგორც წმ. კალისტრატე ცინცაძე მოგვითხრობს, 1894 წელს დეკანოზ დავით ღამბაშიძის ჟურნალში — „Пастырь“ — გაგრძელებებით ქვეყნდებოდა მისი სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი — „Автокефалия Грузинской церкви“. ამ წერილით უკმაყოფილო ეგზარქოსი ვლადიმირი დეკანოზ დავით ღამბაშიძეს დამუქრებია ჟურნალის დახურვით, თუკი წერილში ნათქვამი იქნებოდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 41; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 252.
2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 41; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 253.
3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 45-46; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 256; ბუბულაშვილი 2022: 336.

ჰქონდა. დეკანოზი დავით ღამბაშიძე წმ. კალისტრატეს დაუმშვიდებია და განუცხადებია: „ნარკვევი ნაწილია ჩემი საკანდიდატო თხზულებისა, რომელმაც ცნობილი პროფესორების — ი.ი. მალიშევსკისა და ა.ა. ოლესნიცკის კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა, ხოლო კიევის სასულიერო აკადემიის კონფერენციამ მიიჩნია, რომ მის ავტორს ღვთისმეტყველების საკანდიდატო ხარისხი მინიჭებოდა“. ამ გზით გადაურჩა დეკანოზ დავით ღამბაშიძის ჟურნალი დახურვას.[1]

წმ. კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირის დახასიათებისას დაასკვნის, რომ საქართველოში მოღვაწეობის ბოლო წლებში მას გული მოულბა და ქართული წირვის წესიც ისწავლა.[2]

საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირის შემცვლელის, ფლაბიანე გოროდეცკის (1898–1901) შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ იგი იყო აზნაური, გულთბილი, რომელსაც საერო განათლება ჰქონდა მიღებული. იგი საგანგებოდ გამოყოფს მის თორმეტწლიან სამისიონერო მოღვაწეობას ჩინეთში, თუმცა საქართველოში საქმიანობისას მას განსაკუთრებული ინიციატივა არ გამოუჩენია. მისი საქმიანობა იმით შემოიფარგლა, რომ დააფუძნა მცხეთის ტაძრის სარესტავრაციო კომიტეტი, რომელსაც პირადი დანაზოგიდან ათასი მანეთი შესწირა. მასვე გაუუქმებია საქართველოს ეგზარქოს პალადის შეზღუდვა ქართველი ბავშვებისათვის რუსულ–ბერძნული სახელების დარქმევის შესახებ.[3]

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, ეგზარქოს ფლაბიანე გოროდეცკის სურვილი იყო გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაესაფლავებინათ და ამისათვის შესაფერის ეკლესიასა და მონასტერს არჩევდა, მაგრამ 1901 წლის ზაფხულში, ყველასათვის გასაკვირად, რუსეთის უწმინდეს სინოდს სთხოვა სხვა ეპარქიაში გადაყვანა. ეგზარქოს ფლაბიანეს გადაყვანის მიზეზად წმ. კალისტრატე ასახელებს ერთ საინტერესო ფაქტს: მის რუსი ეროვნების სულიერ შვილს სურდა თავისივე ეროვნების თბილისელ ქალზე დაქორწინება. გოგონა თანახმა იყო ქორწინებაზე, მაგრამ ეგზარქოსი არ აძლევდა ლოცვა–კურთხევას. გაგულისებული ქალი დაემუქრა ეგზარქოს ფლაბიანეს, რომ წირვის დროს შეურაცხყოფას საჯაროდ მიაყენებდა და წვერებს დააგლეჯდა.[4] ამ მოტივით, წმ. კალისტრატეს უწყებით, ეგზარქოსმა ფლაბიანემ საქართველო დატოვა ისე, რომ მისი წასვლის ნამდვილი მიზეზი მხოლოდ რამდენიმე პირისათვის იყო ცნობილი.

წმ. კალისტრატე ცინცაძე XX საუკუნის დასაწყისში დანიშნულ ახალ ეგზარქოსს, ალექსი ოპოცკის (1901–1905) ახასიათებს, როგორც კეთილ, ყაირათიან, ენერგიულ, გულისხმიერ, მაგრამ ხშირად თვითნება და ამპარტავან პიროვნებას. ჩამოსვლისთანავე

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 47; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 258; ბუბულაშვილი 2022: 336.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 51; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 263.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 62; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 279.

4 კალისტრატე ცინცაძე 2001: 84-89; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 301-304.

მან სასულიერო პირებთან დაახლოება დაიწყო, მათ ოჯახებს სტუმრობდა. მისი მარჯვენა ხელი იყო დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელიც ჯერ ქალთა პირველი გიმნაზიის მასწავლებლად, შემდეგ სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურედ და საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად, ბოლოს კი ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბის“ რედაქტორად დაინიშნა. მისი რედაქტორად ყოფნის დროს ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა ანტიქართული სტატიები, რაც ქართველ საერო და სასულიერო პირთა უკმაყოფილებას იწვევდა. რუსეთის ეკლესიის მიერ დიდი უფლებებით აღჭურვილი იოანე ვოსტორგოვი საქართველოს ეგზარქოსს აღარ ემორჩილებოდა და საქმეებს თვითნებურად წარმართავდა.

მეტად მძიმე დროს დაემთხვა საქართველოში ალექსის ეგზარქოსად მოღვაწეობა. XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე რევოლუციურმა მოძრაობამ არაკეთილსასურველად იმოქმედა მის საქმიანობაზე. გააქტიურდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები; ქართველმა საერო და სასულიერო პირებმა აქტიური მოძრაობა დაიწყეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1904 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტებმა კვლავ დაიწყეს გამოსვლები, მოითხოვეს სწავლების პირობების გაუმჯობესება. წმ. კალისტრატეს გადმოცემით, ეგზარქოსი ალექსი შეეცადა, ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირის დახმარებით განემუხტა ვითარება. იგი „მეამბოხე“ სემინარიელებს დაჰპირდა, რომ მათ ქალაქიდან გააძევებდა.[1] სემინარიელთა გამოსვლას მხარი დაუჭირეს თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმაც, რომლებმაც 1905 წლის 28 იანვარს „ჯანყი“ მოაწყვეს, ჩაამსხვრიეს სასწავლებლის ფანჯრები და სწავლების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. აღნიშნული ფაქტების გასაშუქებლად წმ. კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს საინტერესო წერილობით წყაროებს, რაც მის მსჯელობას დამაჯერებლობას ჰმატებს. ამბოხებულთა დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს ეგზარქოსი იძულებული შეიქნა სასწავლებლის გამგე გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან და მოსწავლეებს დაჰპირდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ, რევოლუციის აღმავლობის შიშით, 1905 წლის თებერვალში მიიღო გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების დაშვების შესახებ. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ქართველი სამღვდელოების გააქტიურებას, ბრძოლა დაეწყოთ დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენისათვის. ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მომთხოვნთა მოძრაობა რევოლუციის შემადგენელ ნაწილად იქცა და იგი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით ჩამოყალიბდა. მთავრობის დათმობებით შეგულიანებულმა ქართველმა სამღვდელოებამ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. 1905 წლის გაზაფხულზე იმერეთის, გურია–სამეგრელოსა და ქართლის

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 119; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 324.

სამღვდელოება, ადგილზე ჩატარებულ კრებებზე შემუშავებული პეტიციებით, ითხოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენას. აღნიშნული პეტიციები გაეგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდს, ხელისუფლებასა და საქართველოს ეგზარქოსს. წმ. კალისტრატე ცინცაძე მოიხმობს საინტერესო ჩანაწერებს ხსენებულ კრებებზე მიღებული დადგენილებების შესახებ. პასუხის მიღებამდე სამღვდელოებამ, მთელი საქართველოს მასშტაბით, გადაწყვიტა, რომ 1905 წლის მაისის ბოლოს თბილისში საეკლესიო კრება ჩატარებულიყო. ამასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენეს საქართველოს ეგზარქოსი ალექსი, რომელთანაც წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო კრებაზე განსახილველი საკითხები. ეგზარქოსი საეკლესიო კრების მოწვევას აგვიანებდა. მას სურდა, რათა რაიონებიდან სასულიერო პირთა ჩამოსვლისათვის ხელი შეეშალა; ეს განზრახვა რომ ვერ განახორციელა, ცდილობდა კრება გამართულიყო 1905 წლის ივნისის დასაწყისში. მისი განზრახვა იყო, რომ ბაქოდან და ერევნიდან თავისი მომხრე სასულიერო პირები ჩამოეყვანა თბილისში, რათა ქართველი სამღვდელოებისათვის დაეპირისპირებინა. საბოლოოდ, სხვადასხვა რაიონიდან თბილისში ჩამოსულმა ქართველმა სასულიერო პირებმა, საქართველოს ეგზარქოს ალექსის ნებართვის გარეშე, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში 1905 წლის მაისში გამართეს კრება, რომელზეც მიიღეს ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიცია, რაც დადასტურებული იყო კრების დეპუტატთა ხელმოწერებით. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა და ეგზარქოსის ბრძანებით, კრებაზე შეკრებილნი გამოძახებულმა კაზაკთა რაზმმა დაარბია. მათ ქუჩაში გამოყარეს ქართველი სასულიერო პირები და ცემით გაუსწორდნენ.[1] ამ გაუგონარი ფაქტის შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძის მიერ მოხმობილი წერილობითი მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ მომხდარმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რათა მომხდარი გამოეძიათ და დამნაშავეთათვის პასუხი მოეთხოვათ. თუმცა გამოძიება სწორად არ წარიმართა და დამნაშავედ ისევ ქართველი სამღვდელოება ცნეს. წმ. კალისტრატეს დასკვნით, გამოძიების ერთ–ერთი შედეგი იყო ის, რომ ეგზარქოსი ალექსი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მის მაგივრად დანიშნეს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ნალიმოვი (1905–1906).

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, ქართველმა სამღვდელოებამ ეგზარქოს ნიკოლოზს ჩამოსვლისთანავე თბილისის სიონის ტაძარში მიართვა პეტიციები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მან განაცხადა, რომ ამ პეტიციებს იგი პეტერბურგში გაეცნო და, ფაქტობრივად, გამოხატა რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილება, როდესაც აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს გადაწყვეტდა მომავალი საეკლესიო კრება, რომელიც მისი უზენაესობის სურვილით უნდა ჩატარებულიყო, თუმცა

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 119; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 324.

კრების ჩატარების დრო დაკონკრეტებული არ ყოფილა. ასეთი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა დროის გაჭიანურებას.

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის დავალებით, ეგზარქოს ნიკოლოზს ადგილზე არსებული ვითარების გათვალისწინებით უნდა შეემუშავებინა შექმნილი გარემოებიდან გამოსვლის ისეთი პროექტი, რომელიც ხელისუფლებისათვის მისაღები იქნებოდა, შემდგომ კი თავისი მოსაზრებები განსახილველად გაეგზავნა რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის. ამ საკითხზე რუსეთის სინოდში სხვადასხვა გეგმა არსებობდა: ზოგი საქართველოს ეგზარქოსად ქართველის დანიშვნას მოითხოვდა, ზოგი — კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნას, ზოგი კი — საეგზარქოსოს უფლებების გაზრდას და სხვ. აღსანიშნია, რომ ქართველი საერო და სასულიერო პირები ზემოაღნიშნულ არც ერთ შემოთავაზებას მხარს არ უჭერდნენ.

საქართველოში შექმნილი ვითარების გასარკვევად ეგზარქოსმა ნიკოლოზმა რამდენჯერმე ჩაატარა შეხვედრა ქართველ სასულიერო პირებთან და პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში გადაჭრით აღნიშნა, რომ თუკი ქართველები არ დათანხმდებოდნენ შეთავაზებულ წინადადებებს, მაშინ მათ აუცილებლად უნდა მისცემოდათ ეკლესიის ავტოკეფალია. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის საერო უწყებისა და სასულიერო სფეროსთვის მიუღებელი იყო. რუსეთის უწმინდესი სინოდი დარწმუნდა, რომ საქართველოს ეგზარქოს ნიკოლოზს საკითხის გადაწყვეტა არ შეეძლო, რის გამოც იგი გაიწვიეს პეტერბურგში და მის მაგივრად დანიშნეს მთავარეპისკოპოსი ნიკონ სოფიისკი (1906–1908).

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ ქართველი სამღვდელოება არ მოელოდა საქართველოს ეგზარქოსად ახალი რუსი მღვდელმთავრის დანიშვნას. ეს ფაქტი დაემთხვა ქუთაისში საეპარქიო ყრილობის ჩატარებას. დეპუტატებმა, როგორც კი შეიტყეს საქართველოს ახალი ეგზარქოსის დანიშვნის შესახებ, საეპარქიო ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ წერილი გაეგზავნათ პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძისათვის, რომელსაც უნდა ეცნობებინა რუსეთის უწმიდესი სინოდის ობერ–პროკურორისათვის, რომ ახლადდანიშნული ეგზარქოსი საქართველოში არ ჩამოსულიყო. კრების ეს გადაწყვეტილება მასვე უნდა გაეცნო მთავარეპისკოპოს ნიკონისათვისაც.[1] ასეთი წერილი ნამდვილად გაიგზავნა საქართველოდან და ადრესატებთან მოხვდა, მაგრამ ქართველი ხალხისა და სასულიერო პირთა მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, 1906 წლის 26 აგვისტოს თბილისში ჩამოსულ საქართველოს ეგზარქოს ნიკონს მხოლოდ გაძლიერებული დაცვა და ჯარისკაცები დახვდნენ. მის ჩამოსვლას ქართველმა სამღვდელოებამ ბოიკოტი გამოუცხადა და სატაძრო მსახურებაში, გარკვეული დროის მანძილზე, მასთან ერთად მონაწილეობას არ იღებდა. ჩამოსვლისას თბილისის სიონის ტაძარში საქართველოს ეგზარქოსს მხოლოდ ქართველ სასულიერო პირთა მოთხოვნები წარუდგინეს. ნიკონი არ იზიარებდა მათ

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 136-137; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 356.

სურვილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და ქართველ სასულიერო პირთა შეხვედრაზე ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნული საკითხი უზენაეს ხელისუფალთა გადასაწყვეტი იყო, რაც მომავალ საეკლესიო კრებაზე უნდა მომხდარიყო.[1]

წმ. კალისტრატე ცინცაძის თქმით, საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი სხვადასხვა გზით ცდილობდა ქართველთა გული მოეგო და ისეთი გარდაქმნები გაეტარებინა, რომლებიც სასულიერო პირებს დაავიწყებდა ავტოკეფალიას, რითაც იგი რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობასაც მოიპოვებდა.

წმ. კალისტრატე დაწვრილებით აღწერს 1908 წლის 27 მაისს საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის კიბეზე საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემზარავ ფაქტს, რომლის შესახებაც იმოწმებს საყურადღებო ამონაწერებს რუსული და ქართული გაზეთებიდან, პეტერბურგის საიმპერატორო კარის ჩანაწერებსა და სხვ. იგი აღნიშნავს, რომ ნიკონის მკვლელობას, შესაძლოა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომთხოვნ სასულიერო პირთა დევნა გამოეწვია, რის გამოც ქართველი საზოგადოება დაინტერესებული იყო, პეტერბურგიდან მოვლინებულ საგამომძიებლო კომისიას მომხდარი ობიექტურად გამოეძია, თუმცა გამოძიებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა — მკვლელს ვერ მიაგნეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ თბილისის რუსული სამრევლო აღშფოთებული იყო მომხდარის გამო და ქართველების წინააღმდეგ შურისძიებას მოითხოვდა. ქუჩებში მიმოდიოდნენ „ჭეშმარიტ რუს ადამიანთა“ და „პატრიოტთა“ ჯგუფები, რომლებიც, განსაკუთრებით ღამის საათებში, გამვლელებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. „პატრიოტები“ იმუქრებოდნენ, საქართველოს ეგზარქოსის გაპატიოსნების შემდეგ ყველა ქართველ მღვდელს კაკბებივით დავხოცავთო. მათ გაზეთში — „Голос Кавказа“ — ანტიქართული წერილები ქვეყნდებოდა. წმ. კალისტრატეს დასკვნით, მომხდარის გამო სიბრაზით თავგზაარეული რუსი „პატრიოტები“ შურისძიებისათვის ემზადებოდნენ, რაც მოსახლეობაში შიშს და სასოწარკვეთილებას იწვევდა. ერთადერთი პირი, რომელმაც სიმშვიდე შეინარჩუნა, იყო კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ–დაშკოვი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა დაძაბული ვითარება განემუხტა.[2]

წმ. კალისტრატე ცინცაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ანტიქართული განწყობა ადგილობრივ რუს სამღვდელოებაშიც შეინიშნებოდა. სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ეგზარქოსის სიკვდილის შემდეგ ჭირისუფლად თავს მხოლოდ რუსი სამღვდელოება მიიჩნევდა და იმპერიის სხვადასხვა კუთხიდანაც სამძიმრის დეპეშები მხოლოდ მათ სახელზე იგზავნებოდა. ქართველთა მიმართ უნდობლობის მანიშნებელი იყო ისიც,

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 134; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 357.
2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 147; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 367.

რომ საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობას ასრულებდა ბაქოს ვიკარ–ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნინი) და არა პირველი ვიკარ–ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი. რუსეთის უწმინდესი სინოდის ამ გადაწყვეტილების გამო ქართველი სასულიერო პირები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

წმ. კალისტრატე ცინცაძე დასძენს, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა საქართველოს ეგზარქოსის მკვლელები. რუსულ ხელისუფლებას ქართველ სასულიერო პირებზე ჰქონდა ეჭვი. ამის გამო დაუკითხავთ დეკანოზები: ანტონ თოთიბაძე, ნიკიტა თალაკვაძე და მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე. გარდა ამისა, გამოძიებას ეჭვი ჰქონდა იმ პირებზეც, რომლებიც დაახლოებულნი იყვნენ საეგზარქოსოსთან და ეგზარქოს ნიკონთან არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა. ამ მიზეზით დააკავეს და ორი კვირით ციხეში ჩასვეს საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის მმართველის თანაშემწე დავით დავითაშვილი.

წმ. კალისტრატე ცინცაძის უწყებით, მართალია, ვერ იპოვეს მთავარეპისკოპოს ნიკონის მკვლელები, მაგრამ მის „იდეურ“ მოწინააღმდეგეებად მიაჩნდათ არქი–მანდრიტი ამბროსი ხელაია, იოსებ ჩიჯავაძე, ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი და სხვები. ამ მიზეზით არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია საქართველოდან რუსეთის შორეულ გუბერნიაში გაიწვიეს მღვდელმსახურების შეწყვეტით, მაგრამ გამოძიებამ იგი გაამართლა. მიუხედავად ამისა, ის სამშობლოში აღარ დააბრუნეს და ნოვგოროდის ეპარქიაში, სტარაია რუსაში, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს.[1]

საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემდეგ მისი შემცვლელი, რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ დროებით დანიშნული ბაქოს ვიკარ–ეპისკოპოსი გრიგოლ ვახნინი, საქართველოს საეგზარქოსოს წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა. წმ. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, ერთი წლის თავზე ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ადგილზე ნიში გაკეთდა, რომელიც რუსი სამღვდელოებისა და თბილისის მაღალჩინოსნების მონაწილეობით იკურთხა. ეს ნიში 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ იქნა აღებული.

1909 წლის 7 დეკემბერს ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად და საქარ–თველოს ეგზარქოსად დაინიშნა ტამბოვის ეპარქიის მმართველი — ინოკენტი ბელიაევი (1909–1913). წმ. კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით, მას მომხიბვლელი გარეგნობა ჰქონდა და ამის გამო დიდ სიამაყესა და ამპარტავნულ განწყობას ამჟღავნებდა; საკუთარი მოსაზრებები სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა და ვერ იტანდა შეპასუხებას; ყველას თანდასწრებით იძლეოდა შენიშვნებს; ამასთან ერთად, საუბრისას უყვარდა ადამიანების დამცირება და ირონიული დამოკიდებულების გამოვლენა. ასეთი თვისების გამო, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, რუს მღვდელმთავრებს ის არ უყვარდათ. გარდა ამ ყველაფრისა, ის დიდი მშიშარაც კი ყოფილა.[2]

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 147; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 368.
2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 148; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 392.

წმ. კალისტრატე ცინცაძის აღნიშვნით, საქართველოში ჩამოსული ახალი ეგზარქოსი ქართველებისადმი კეთილგანწყობილი არ იყო. მისივე უწყებით, ეგზარქოს ინოკენტის ჩამოსვლა დამთხვევია იმერეთის სამღვდელოების საეპარქიო ყრილობას, რომელიც ქუთაისში გაიმართა. ყრილობის დელეგატებს ახალდანიშნული ეგზარქოსისათვის მისალმების წერილი გაუგზავნიათ, რომელშიც აღნიშნული იყო: **„უზენაესი ძალა და სიმტკიცე ნუ მოგაკლოთ ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში“**. საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი ამ მიმართვას, რომელიც იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის სახელზე იყო გაგზავნილი, შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: **„გთხოვთ, ჩემი მადლობა გადასცეთ ყრილობის დეპუტატებს. მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისაგან განუყოფელი, მას დაქვემდებარებული ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ, ჩემი ვალია და უწმინდესი მოვალეობა, მაგრამ გადაჭრით ვამბობ უარს, ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებსა და უფლებების აღდგენას“**. ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ამ ციტატის მოხმობის შემდეგ წმ. კალისტრატე იმოწმებს მთავარეპისკოპოს ინოკენტის მიერ ტამბოვში სემინარიელების წინაშე წარმოთქმული გამოსამშვიდობებელი სიტყვის ფრაგმენტს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მომავალი მთავარეპისკოპოსი ინოკენტი დაუფარავად აღნიშნავდა: **„ღვთის ნებამ მომისაჯა... ივერიის ეკლესიის მწყემსმთავრის კათედრაზე, ჩემი წამებული წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე, ასვლა ... მივდივარ პირადი სიცოცხლისათვის საკმაოდ სახიფათო ღვთიურ საქმეზე ... სიკვდილის შიშმა მომიცვა, შიშმა და კანკალმა ამიტანა ... იქ, შორეულ უცხო მხარეში, ხომ არ მელის ჩემი საფლავი“**.[1] შემდეგ წმ. კალისტრატე აღნიშნავს, რომ ჩამოსვლის დღეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მას იგივე სიტყვები გაუმეორებია — რომ იგი ადიოდა თავისი წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე. სწორედ ამიტომ ქართველი მღვდელთმთავარი დაასკვნის, რომ იგი ცდილობდა, პირდაპირ თუ არა, გადატანითი მნიშვნელობით, აეღო წინამორბედის სისხლი, რომ მისი საფლავი „შორეულ უცხო მხარეში“ არ ყოფილიყო. ქართველი მღვდელთმთავარი აქაც აკრიტიკებს საქართველოს ეგზარქოსის ხსენებულ სიტყვებს და აღნიშნავს, რომ თურმე მისი სამწყსო მისთვის „უცხო მხარე“ ყოფილა.[2]

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს ეგზარქოს ინოკენტის სურდა სიმშვიდის მოპოვება მოღვაწეობით გზაზე. მან დაიწყო რევოლუციის საწინააღმდეგო ლიტერატურის გავრცელება. მრევლში სარწმუნოებრივი გრძნობების ამაღლების მიზნით, შეუდგა ქართულ ენაზე სასულიერო პირთა ქადაგებების გამოცემას. მის დროს სასულიერო სასწავლებლებში მომრავლდა რელიგიური ლიტერატურა; საქართველოს

1 ბუბულაშვილი 2022: 673-674.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 148; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 392.

ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მომთხოვნი ქართველების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად სასულიერო სასწავლებლებში საღვთო რჯულს ასწავლიდნენ მშობლიურ ენაზე. საქართველოს ეგზარქოს ინოკენტის დროს სომხეთის ტერიტორიაზე დაფუძნდა ერევნის სავიკარიო.[1]

საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი გარდაიცვალა 1913 წლის 9 სექტემბერს პეტერბურგში, სხდომებში მონაწილეობის დროს. ოფიციალური ვერსიით, მისი გარდაცვალების მიზეზად დასახელდა გულის უკმარისობა. წმ. კალისტრატე ცინცაძე ამასთან დაკავშირებით აფიქსირებს ერთ საინტერესო ფაქტს: მთავარეპისკოპოსი ინოკენტი სასტიკად დევნიდა ალავერდის ვიკარ–ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს. მისი მოთხოვნით, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ეპისკოპოსი დავითი პიატიგორსკში გადაიყვანა, რის გამოც ქართველი ეპისკოპოსი და საზოგადოებაც დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გამგზავრების წინ მან ეგზარქოსს ნებართვა სთხოვა, ქაშუეთის ტაძარში ლიტურგია აღესრულებინა, რისი ნებაც მთავარეპისკოპოსმა ინოკენტიმ არ დართო. პიატიგორსკში ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ რუსულ ენაზე გამოსცა რამდენიმე გვერდიანი ნაშრომი — К вопросу автокефалии Грузинской церкви, რომელშიც გაკრიტიკებული ყოფილა ეგზარქოს ინოკენტის საქმიანობა საქართველოში. აღნიშნული შრომა დავით ეპისკოპოსს გაუგზავნია რუსეთის საერო და სასულიერო მაღალი იერარქიის პირებისათვის. იგი, ასევე, ხელში ჩავარდნია იმპერატორ ნიკოლოზ II–ს, რომლის გაცნობის შემდეგ მას რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ–პროკურორ ს. საბლერისთვის დაუვალებია, გასცნობოდა მოხსენებას და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა. ს. საბლერს კი ყველაფერი უამბნია საქართველოს ეგზარქოს ინოკენტისათვის. ამ საუბრის შემდეგ ეგზარქოსი ინოკენტი მოულოდნელად გარდაცვლილა.[2]

ეგზარქოს ინოკენტის დასახასიათებლად წმ. კალისტრატე ცინცაძე მოიხმობს კიდევ სხვა საყურადღებო ამონარიდებსაც ეპისკოპოს დავით კაჭახიძის ნაშრომიდან.

მთავარეპისკოპოს ინოკენტის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა ეპისკოპოსი **ალექსი მოლჩანოვი** (1913–1914). წმ. კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს ალექსისთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის. საქართველოს ეგზარქოს ინოკენტი ბელიაევის მსგავსად, მთავარეპისკოპოსმა ალექსიმ ქართველთა სამწყსო თავისი წინამორბედის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვაში მოიხსენია **„მწყემსმთავარ ნიკონის სისხლით შეღებილ ივერიის კათედრად“**.

ახალი ეგზარქოსი არ თანაუგრძნობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მხარდამჭერთა მოთხოვნებს. მან რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ავტოკეფალიის მოთხოვნას „ავტოკეფალიის მომთხოვნი

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 171; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 394.
2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 177; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 395.

ქართველი ინტელიგენციის ბოდვა უწოდა".[1]

საქართველოს ეგზარქოსი ალექსი ხშირად ავადმყოფობდა. ეგზარქოსად საკმაოდ მცირეხნიანი ყოფნის გამო მას არაფერი გაუკეთებია. იგი გარდაიცვალა 1914 წლის 20 მაისს. მის ადგილზე დაინიშნა სამარის მთავარეპისკოპოსი პიტირიმე ოკნოვი (1914–1915). წმ. კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით, მთავარეპისკოპოსმა პიტირიმემ ჩამოსვლისთანავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მართალია, დასაწყისში სამღვდელოებას იგი პირმოთნე ადამიანად მოეჩვენა, მაგრამ შემდგომში მისმა საქციელებმა ამგვარი განწყობა არ დაადასტურა. მან თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეა. იგი ხშირად სტუმრობდა თბილისის არისტოკრატიულ ოჯახებს; ქართულ ენაზე ისწავლა ლიტურგია და შეეცადა სრულად შეესწავლა ენა. ხალხთან შეკრებებზე ხშირად ამბობდა, რომ იგი „მოსაყდრეა კათოლიკოსის ტახტისა", თანაც დაამატებდა, **„თქვენ დიდი ხნის წინ უნდა გყოლოდათ პატრიარქიო..."**.[2]

საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმე ქართველ საზოგადოებაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. მან სათანადო პატივი მიაგო აკაკი წერეთლის გარდაცვალებას. 1915 წლის 27 იანვარს, აკაკის გარდაცვალების გამო, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი და შეკრებილ მრავალრიცხოვან მრევლს სიტყვით მიმართა, რომელშიც შეფასებული იყო დიდი ქართველი პოეტის ღვაწლი.[3]

ეგზარქოსი პიტირიმე საქართველოდან მალევე გაიწვიეს და პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად დანიშნეს. ამის შემდეგაც არ გაუწყვეტია მას საქართველოსთან ურთიერთობა. მისი დახმარებით, 1916 წელს აღდგა ალავერდის სავიკარიო და ამავე წელსვე პეტერბურგში დაარსდა ქართული სამრევლო. ქართველებისადმი სიყვარული მან იმითაც გამოხატა, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილმა მიტროპოლიტობიდან გადამდგარმა პიტირიმემ 1919 წელს დამოუკიდებელი მთავრობის ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით, ჩამოსვლის ნება დაერთოთ, რათა მისი ძვლები „დაეკრძალათ წმინდა მოწამეთა სისხლით მორწყულ საქართველოში". ნებართვის მიღების შემდეგ გამოემგზავრა საქართველოში, მაგრამ ვერ ჩამოაღწია; გზაზე გაძარცვეს, მერე კი სახადით გახდა ავად; გამოჯანმრთელების შემდეგ ეკატერინოდარში გაემგზავრა, სადაც 1920 წელს გარდაიცვალა.[4]

მიტროპოლიტ პიტირიმეს ნაცვლად, 1915 წლის 5 დეკემბერს ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი

1 გუგულაშვილი 2022: 685.
2 გუგულაშვილი 2022: 688-690.
3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 178; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 396.
4 კალისტრატე ცინცაძე 2001: 179; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 397.

პლატონ როჟდესტვენსკი (1915–1917). წმ. კალისტრატე ცინცაძე და სხვა სასულიერო პირები მისი დანიშვნით გახარებულები იყვნენ, რადგან ახალ მღვდელთმთავარს ბევრი იცნობდა კიევის სასულიერო აკადემიიდან, მათ შორის, თავად წმ. კალისტრატეც. აკადემიაში სწავლის დროს იგი კარგად იცნობდა, აგრეთვე, მელიტონ კელენჯერიძეს, დიმიტრი აბაშიძეს, ილია ფერაძეს; აკადემიაში მისი სტუდენტები იყვნენ კორნელი კეკელიძე, პიროს ოქროპირიძე, ნაზარ ლეჟავა, ნიკიტა თალაკვაძე და სხვები. თავის მხრივ, ეგზარქოსი პლატონი კარგად იცნობდა საქართველოს. ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში მუშაობის დროს, 1903 წელს, იგი ჩამოსულა საქართველოში, დაუთვალიერებია ღირსშესანიშნაობები, გაუცვნია ქართველი ხალხის ადათ–წესები, მოუნახულებია საეკლესიო მუზეუმი, რომლის შთაბეჭდილებების წიგნში საინტერესო ჩანაწერიც გაუკეთებია.

საქართველოში ჩამოსვლისას ახალმა ეგზარქოსმა მოიკითხა თავისი ძველი ნაცნობები და იმედი გამოთქვა, რომ მათი დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა წარმატების მიღწევა. საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენია როგორც „ტრაგიზმით სავსე და კრახისაკენ მიმავალი“ და ამ სიტყვებით შეაფასა წინამორბედი ეგზარქოსების მოღვაწეობა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ მთავარეპისკოპოსი პლატონი ადრე ამერიკაში მსახურობდა და, ქართველი სამღვდელოების მატერიალური მდგო–მარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეეცადა იქ არსებული კომერციული პრინციპები საქართველოშიც დაენერგა. ამით მას სურდა სასულიერო პირების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხაზინიდან გამოტანილი თანხებით კი არ მომხდარიყო, არამედ დაეარსებინა ისეთი კომპანია, რომლის მფლობელი თვითონ სამღვდელოება იქნებოდა და შემოსავალიც მას მოხმარდებოდა. ამ მიზნით, მან პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა და ბორჩალოს მაზრაში შეიძინა ფრანგული კომპანიის მიერ მიტოვებული ტერიტორია, სადაც სურდა საწარმოს გამართვა. მოწესრიგდა მუხით გარშემორტყმული ტყე, რომელსაც იგი გამოიყენებდა რკინიგზის განძელების დასამზადებლად. მანვე საქმის დაწყებისათვის საჭირო თანხა მოიპოვა და დიდი გეგმებიც დაუსახა სამღვდელოებას, მაგრამ, გართულებული ვითარებისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამო, მათი განხორციელება ვერ შეძლო.[1]

წმ. კალისტრატე ცინცაძის უწყებით, ეგზარქოსი პლატონი საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე ყოფილა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას საქართველოს ეგზარქოსთან არაერთხელ ჰქონია საუბარი. ეგზარქოს პლატონის აზრით, თუკი შესაძლებელი იქნებოდა საკათალიკოსოს აღდგენა, მაშინ იგი აუცილე–ბელ საჭიროებად მიიჩნევდა, საქართველოს არაქართველი მრევლის მოთხოვნის

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 178-179; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 406; ბუბულაშვილი 2022: 693.

საფუძველზე, კავკასიის საეგზარქოსოს დაარსებას და საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის მოწყობას ეროვნული და არა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რაც საეკლესიო კანონიკის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნული შეხედულება მას გაუმჟღავნებია წმ. კალისტრატე ცინცაძესთან პირად საუბარში. გაკვირვებული ქართველი მოძღვარი არ დათანხმებია მის მოსაზრებას და მიუთითებია საეკლესიო კანონიკასთან შეუთანხმებლობაზე. წინააღმდეგობის მიუხედავად, გაგულისებულმა რუსმა მღვდელთმთავარმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის „არატერიტორიულ ავტოკეფალიას“. ბუნებრივია, საქართველოს ეგზარქოსი პლატონი ასეთი მოსაზრებით გამოხატავდა რუსეთის ხელისუფლების განწყობას. ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ (1917 წლის 12 მარტი) რუსეთის მაშინდელმა დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეგზარქოს პლატონის მიერ დაფიქსირებული შეხედულებისამებრ (იგულისხმება ეგზარქოს პლატონის ინიციატივა იმის შესახებ, რომ ეცნოთ ავტოკეფალია „ეროვნული და არა ტერიტორიული ნიშნით“ — ბ. ც.) ცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.[1] ასეთი განწყობის გამო, წმ. კალისტრატეს აღნიშვნით, ეგზარქოსმა არ მიიღო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა, კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე ეშუამდგომლა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წმ. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, 1917 წლის 12 მარტს საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მთავარეპისკოპოსი პლატონი მძიმე დღეში ჩავარდა; მან ქართველი სამღვდელოების დროებით შექმნილ მმართველობასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, დაიკავა საეგზარქოსოს ყოფილი შენობა და აკრძალა მისი წირვა-ლოცვაში მოხსენიება. მთავარეპისკოპოსი პლატონი არ დაემორჩილა ქართველი სამღვდელოების გადაწყვეტილებას და, რუსეთის უწმინდესი სინოდის მხარდაჭერით, ერთხანს ახლადდაარსებული კავკასიის საეგზარქოსოს ეგზარქოსად იწოდებოდა, რომლის გაუქმების შემდგომ ის რუსეთში დაბრუნდა. გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა რეჟიმის მიერ იდევნებოდა, რის გამოც 1920 წელს ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 1934 წელს გარდაიცვალა.

წარმოდგენილი მასალის განხილვით ვრწმუნდებით, რომ წმ. კალისტრატე ცინცაძე, ძირითადად, სწორად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, წარმოაჩენს XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების საქმიანობას. საკითხის განხილვის დროს იგი, საკუთარი მოგონებების გარდა, ეყრდნობა არსებულ წერილობით წყაროებს, შესაბამის სამეცნიერო გამოკვლე-ვებსა და სხვ., რის საფუძველზეც აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს, თუმცა ზოგიერთი

1 ბუბულაშვილი, 2022 :. 693.

ეგზარქოსის შეფასებისას შეინიშნება გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულებაც, რაც, საბოლოოდ, გავლენას ვერ ახდენს ავტორის ნააზრევზე. ყოველივე აღნიშნულის გამო, წმ. კალისტრატე ცინცაძის მოგონება უდავოდ იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. მასში ისეთი პირადი ურთიერთობის ამბებია გადმოცემული, რომელთა შესახებაც წერილობით წყაროებში ინფორმაცია არ არის. არადა, ასეთი მაგალითების მოყვანით შესაძლებელია ბევრი ფაქტისა და მოვლენის ახსნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუბულაშვილი 2022 – ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.), „ახალი ივერონი“, თბილისი, 2022.

2. კალისტრატე ცინცაძე 2001 – კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბილისი, 2001.

3. კალისტრატე ცინცაძე, I, 2010 – კალისტრატე ცინცაძე, მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან, მწიგნობრობა ქართული, ტომი 9, სასულიერო მწერლობა, კალისტრატე ცინცაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წიგნი I, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, „ციცინათელა“, თბილისი, 2010.

4. კალისტრატე ცინცაძე, II, 2010 – კალისტრატე ცინცაძე, მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან, მწიგნობრობა ქართული, ტომი 10, სასულიერო მწერლობა, კალისტრატე ცინცაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წიგნი II, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, „ციცინათელა“, თბილისი, 2010.

5. კალისტრატე ცინცაძე 1994 – კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი, 1994.

6. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 26, საქმე 102, საქმე 107, საქმე 109.

7. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი ფონდი, საქმე №170.

8. Записки, II, 1913 – Записки присуствующего в Святейщем Синоде Архиепископа Никанора (Бровковича), т. II, Одеса, 1913.

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების შესახებ

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმ. კალისტრატე ცინცაძის მემუარებზე დაყრდნობით, განხილულია XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მომსახურე ეგზარქოსების ისტორია და მათი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი და, ზოგადად, ქართველი ხალხისადმი. წმ. კალისტრატეს დაწერილებით აქვს გაანალიზებული ყველა ის დეტალი, რომელიც ეგზარქოსთა ხასიათსა და საქართველოსადმი დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

სტატიაში, წმ. კალისტრატე ცინცაძის მემუარებზე დაყრდნობით, გამოკვეთილია, რომ ეგზარქოსთა საქმიანობა უმეტესწილად ანტიქართული ხასიათისა იყო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ ეგზარქოსები როგორი რუდუნებით ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეებს შეწინააღმდეგებოდნენ და ქართველი საზოგადოებისათვის ეს საკითხი საერთოდ დაევიწყებინათ, თუმცა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ქართველ საზოგადოებას დადებითი კუთხითაც დაამახსოვრეს თავი.

Archpriest Besarion (Besik) Tsintsadze

Kalistrate Tsintsadze About the Exarchs of Georgia Who Served in the 80s of the 19th Century and the First Twenty Years of the 20th Century

Abstract

This article discusses the history of the exarchs who served in Georgia in the 80s and 90s of the 19th century and the early twenty years of the 20th century. It also speaks about their stance on the Church of Georgia and, in general, on the Georgian people. The study is based on the memoirs of the Catholicos-Patriarch of All Georgia Saint Kalistrate Tsintsadze. Saint Kalistrate gives a thorough analysis of every detail that displays the character of the exarchs and their attitude towards Georgia.

Based on the memoirs of Saint Kalistrate Tsintsadze, the article highlights that the activities of the exarchs were mostly anti-Georgian by their nature. Special attention is focused on their precision in striving against the supporters of the restoration of the historical autocephaly of the Church of Georgia and on their attempts to compel Georgian society to forget that issue altogether.

However, among them were those whom the Georgian people remember in a positive way.